

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ოქმი № 15

ქ.ახალციხე

28 სექტემბერი 2011 წ
17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

- მალხაზი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;
- გელა დემეტრაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
- გიორგი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
- მაცა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;
- თენგიზ ზედგინიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
- ემზარ მღებრიშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქიტექტურის საკითხებში
- მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი -სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;
- გაგა ივანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
- გიორგი მიქელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;
- დავით ჩაჩანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: ქ. ახალციხეში შ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2011 წლის 20 სექტემბერს 13:16 საათზე გამოცხადებულ №156 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მ. გიქოშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაცა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ გ. დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახალციხეში შ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-საბარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 20 სექტემბერს 13:16 საათზე გამოცხადებულ №156 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- შპს „მლ 2008“ შემდეგ თანხაზე: 400 (ოთხასი)ლარი.

განხილვა:

შპს „მლ 2008“ -ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დაადგინა:











1. შპს „მლ 2008“ -ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ქ. ახალციხეში შ. ახალციხელის ქ. №2 მდებარე მომავალი ადმინისტრაციული შენობის (ყოფილი ოფიცერთა სახლი), ახალციხის ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის და ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვის სამსახურის ბუნებრივი აირის ერთიან ქსელში ჩართვის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთადრიცხვო დოკუმენტაციის კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, 2011 წლის 20 სექტემბერს 13:16 საათზე გამოცხადებულ №156 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „მლ 2008“.
3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, შპს „მლ 2008“ წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების აქტირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

საკონკურსო კომისიის მდივანი

საკონკურსო კომისიის წევრები

 მ. გიქოშვილი
 გ. დემეტრაძე
 მ. სამსონიძე
 გ. გიქოშვილი
 გ. ივანიძე
 თ. ზედგინიძე
 ე. მღებრიშვილი
 გ. მიქელაძე
 მ. ბალიაშვილი
 დ. ჩაჩანიძე